შპს. საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ
GEORGIAN INTERNATIONAL UNIVERSITY GIU LLC

შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტში ჯიუ (ყოფილი გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი) აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობების (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი, ასისტენტი) დასაკავებლად, როგორც აკადემიური, ასევე პროფესიული ნიშნით (ქართულ და ინგლისურენოვან პროგრამებზე)

საკონკურსო ვაკანსიები:

1. **სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ვიწრო სფერო: სამართალი, (0421)**

1.1. შემდეგ აკადემიურ თანამდებობზე:

- **პროფესორი (აკადემიური ნიშნით) – 2 საშტატო ერთეული**
  დეტალური სფერო: კერძო სამართალი– (0421.2.3)
- **პროფესორი (აკადემიური ნიშნით), 2 საშტატო ერთეული.**
  დეტალური სფერო: სისხლის სამართალი (0421.2.2)
- **ასისტენტ– პროფესორი (პროფესიული ნიშნით), 2 საშტატო ერთეული.**
  დეტალური სფერო: საერთაშორისო სამართალი (0421.1.2)
- **ასისტენტ- პროფესორი (პროფესიული ნიშნით), 2 საშტატო ერთეული.**
  დეტალური სფერო: კერძო სამართალი (0421.2.3)

2. **ბიზნესის ადმინისტრირების (ქართულენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა. დეტალური სფერო 0413.1.1 ბიზნეს ადმინისტრირება**

2.1. აკადემიურ თანამდებობზე:

- **ასოცირებული პროფესორი (აკადემიური ნიშნით) - 3 საშტატო ერთეული**
- **ასისტენტ –პროფესორის (აკადემიური ნიშნით) - 2 საშტატო ერთეული**
  დეტალური სფერო 0413.1.1 ბიზნეს ადმინისტრირება

3. **სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. დეტალური სფერო 0313.2.1**

3.1. შემდეგ აკადემიურ თანამდებობებზე:

- **ასოცირებული პროფესორი (აკადემიური ნიშნით) - 3 ვაკანსია**
  დეტალური სფერო 0313.2.1 სოციალური ფსიქოლოგია

- **ასისტენტ- პროფესორის (აკადემიური ნიშნით) - 1 ვაკანსია**
  სოციალური ფსიქოლოგია

4. საერთაშორისო ურთიერთობების ქართულენოვან და ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე. დეტალური სფერო0 312.1.2 საერთაშორისო ურთიერთობები
4.1. შემდეგ აკადემიურ თანამდებობზე:

- **პროფესორი (აკადემიური ნიშნით), 16 საშტატო ერთეული;**
- **ასოცირებული პროფესორი (პროფესიული ნიშნით) 24 საშტატო ერთეული;**
- **ასოცირებული პროფესორი (აკადემიური ნიშნით) 16 საშტატო ერთეული;**
- **ასისტენტ პროფესორი (პროფესიული ნიშნით) 16 საშტატო ერთეული;**
- **ასისტენტ პროფესორი (აკადემიური ნიშნით) 16 საშტატო ერთეული;**
- **ასისტენტი (აკადემიური ნიშნით) 12 საშტატო ერთეული.**

5. **აკადემიური ნიშნით** კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, კონკურსანტმა უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი საკონკურსო კრიტერიუმები:

5.1. პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს:

ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;
.ბ) პირი, რომელსაც შესაბამისი სასწავლო კურსების თემატიკის მიმართულებით გამოქვეყნებული (ბოლო 5 წლის განმავლობაში) აქვს სამეცნიერო პუბლიკაციები ან არის მათი თანაავტორი;
გ) პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი სასწავლო კურსის (სილაბუსის) შემუშავების გამოცდილება;
შენიშვნა:

5.2. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს:
ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;
ბ) პირი, რომელსაც შესაბამისი სასწავლო კურსების თემატიკის მიმართულებით გამოქვეყნებული (ბოლო 5 წლის განმავლობაში) აქვს სამეცნიერო პუბლიკაციები ან არის მათი თანაავტორი;
გ) პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი სასწავლო კურსის (სილაბუსის) შემუშავების გამოცდილება.

5.3 ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს:
ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი;
ბ) პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების თემატიკის მიმართულებით გამოქვეყნებული (ბოლო 5 წლის განმავლობაში) სამეცნიერო პუბლიკაცია/პუბლიკაციები ან არის მათი თანაავტორი
გ) პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი სასწავლო კურსის (სილაბუსის) შემუშავების გამოცდილება.

5.4 **ასისტენტად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი,** რომელსაც აქვს შესაბამისი სასწავლო კურსის (სილაბუსის) შემუშავების გამოცდილება

შენიშვნა: კერძო სამართლის მიმართულებით პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე დამატებითი მოთხოვნებია:
გერმანული ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა;
მონოგრაფიები, ნაშრომები, მატერიალური კერძო სამართლის მიმართულებით;
პრაქტიკული გამოცდილება კერძო სამართლის სფეროში ჩაითვლება უპირატესად;

შენიშვნა: სისხლის სამართლის მიმართულებით პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე დამატებითი მოთხოვნებია:
პრაქტიკული გამოცდილება სისხლის სამართლის სფეროში ბოლო 5 წლის მანძილზე;
ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა.
სასურველია კანდიდა იყოს მოქმედი პრაქტიკოსი სისხლის სამართლის სფეროში.

შენიშვნა: საერთაშორისო ურთიერთობების ქართულენოვანი და იგლისურენოვანი პროგრამების ფარგლებში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსანტებმა უნდა დააკმაყოფილონ ინგლისური ენის B2 დონე, რომელიც შესაძლებელია დადასტურდეს ქვემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნებიდან ერთის მეშვეობით.

ა) ინგლისური ენის კომპეტენციის დამდგენი რომელიმე საერთაშორისო სერთიფიკატის წარმოდგენით (CEFR B2, IELTS exam – 5 BEC exam and CELS exam – Vantage; Cambridge exam – FCE; 9 Pritman ESOL International; TOEIC – 600; TOEFL– 510 (paper - based) 173 (computer - based) 61 (internet – based))
ბ)ინგლისურენოვანი პროგრამის კვალიფიკაციის დამადასტურებელი საგანმანათლებლო დოკუმენტის/დოკუმენტების ასლები (უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი);
გ) უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული გამოცდა.
დ) საჩვენებელი ლექცია.

6. **აკადემიური ნიშნით** კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, კონკურსანტმა უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი საკონკურსო კრიტერიუმები:

6.1. **ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** (პროფესიული ნიშნით) დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
ა) არანაკლებ მაგისტრის აკადემიური ხარისხი;
ბ) დარგში შესაბამისი პროფესიული გამოცდილება, რაც შესაძლებელია დადასტურდეს შემდეგნაირად:
ბ.ა) არანაკლებ 5 წლის სამუშაო გამოცდილება შესაბამის დარგში (პრაქტიკული მოღვაწეობის შინაარსი შესაძლებელია დაკონკრეტდეს პროგრამის თავისებურებიდან გამომდინარე); ბ.ბ)პუბლიკაცია შესაბამისი მიმართულებით (გამოქვეყნებული ბოლო 5 წლის განმავლობაში);
ბ.გ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური საქმიანობის არანაკლებ 3 წლის სამუშაო გამოცდილება;
გ) შესაბამისი სასწავლო კურსის (სილაბუსის) შემუშავების გამოცდილება.

6.2.. **ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობისთვის** (პროფესიული ნიშნით) დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
ა) არანაკლებ მაგისტრის აკადემიური ხარისხი;
ბ) დარგში შესაბამისი პროფესიული გამოცდილება, რაც შესაძლებელია დადასტურდეს შემდეგი ნიშნებით:
ბ.ა) არანაკლებ 3 წლის სამუშაო გამოცდილება შესაბამის დარგში (პრაქტიკული მოღვაწეობის შინაარსი შესაძლებელია, დაკონკრეტდეს პროგრამის თავისებურებიდან გამომდინარე);
ბ.ბ) პუბლიკაცია შესაბამისი მიმართულებით (გამოქვეყნებული ბოლო 5 წლის განმავლობაში) ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური საქმიანობის არანაკლებ 1 წლის სამუშაო გამოცდილება.
7. კონკურსანტებს (ინგლისურენოვან პროგრამაზე)მოეთხოვებათ ინგლისური ენის ფლობა B2 დონეზე. მათ უნდა წარმოადგიგნონ ენის ფლობის დამდასტურებელი დოკუმნეტი ან/და გაიარონ ტესტირება სასწავლო უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად.
შენიშვნა: კერძო სამართლის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ (პროფესიული ნიშნით) თანამდებობაზე დამატებითი მოთხოვნებია:
ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა;
პრაქტიკული გამოცდილება ბოლო 5 წლის მანძილზე, სასურველია შრომის სამართლის მიმართულებით;
შენიშვნა: საერთაშორისო სამართლის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის (პროფესიული ნიშნით) აკადემიურ თანამდებობაზე დამატებითი მოთხოვნებია:
ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა;
ევროინტეგრაციის მიმართულებით საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის გამოცდილება;

8.აკადემიური ნიშნით კონკურსანტმა საკონკურსოდ უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განაცხადი კონკურსში მონაწილეობის მისაღებად შესაბამისი დარგისა და აკადემიური თანამდებობის მითითებით, სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ ფორმატში.

ბ) ავტობიოგრაფია (CV) (ელექტრონული ან/და ბეჭდური ფორმით).

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) კვალიფიკაციის დამადასტურებელი საგანმანათლებლო დოკუმენტის/დოკუმენტების ასლები (უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი);

ე) პედაგოგიური გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები;

ვ) საკონკურსო თანამდებობის/დარგის ადეკვატური სამეცნიერო ნაშრომები, ან მათი ასლები (გამოქვეყნებული ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ზ) შესაბამისი სასწავლო კურსების/კომპონენტის სილაბუსები (ელექტრონული ვერსია);

თ) ცნობა ნასამართლობის შესახებ („უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება).

9. პროფესიული ნიშნით კონკურსანტმა საკონკურსოდ უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განაცხადი კონკურსში მონაწილეობის მისაღებად შესაბამისი დარგისა და აკადემიური თანამდებობის მითითებით. სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ ფორმატში.

ბ) ავტობიოგრაფია (CV) (ელექტრონული ან/და ბეჭდური ფორმით).

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) კვალიფიკაციის დამადასტურებელი საგანმანათლებლო დოკუმენტის/დოკუმენტების ასლები (უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი);

ე) პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები;

ვ) ცნობა ნასამართლობის შესახებ („უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება).

10. კონკურსის ეტაპები

ა) კონკურსის პირველ ეტაპზე ხდება კონკურსანტთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საკონკურსო განაცხადით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას.

ბ) კონკურსის მეორე ეტაპზე ტარდება გასაუბრება, რას შეიძლება მოიცავდეს კონკურსანტის მიერ საჩვენებელი ლექციის ჩატარებას.

11.. კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი

ა) აკადემიურ კონკურსში მონაწილე კონკურსანტი უფლებამოსილია საკონკურსო კომისიის გადაწვეტილება გაასაჩივროს გადაწყვეტილების ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან სამი სამუშაო დღის ვადაში.

ბ) საჩივრებს განიხილავს რექტორის ბრძანებით შექმნილი სააპელაციო კომისია, დამტკიცებიდან ხუთი დღის ვადაში.

12. კონკურსის ვადები

ა) ღია კონკურსი ცხადდება **2024 წლის 15 იანვრიდან 16 თებერვლის ჩათვლით.**

ბ) საბუთების მიღება იწარმოებს **2024 წლის 16 თებერვლიდან 24 თებერვლის ჩათვლით.**

გ) კონკურსის პირველი ეტაპი საბუთების გადარჩევა ჩატარდება **2024 წლის 27 თებერვალს**

დ) კონკურსის მეორე ეტაპი საკონკურსო კომისიასთან გასაუბრება ჩატარდება **2024 წლის 05 -06 მარტს,** (გასაუბრების ზუსტი თარიღი და დრო კანდიდატს ეცნობება კონკურსის პირველი ეტაპის გავლის შემდეგ). კომისიის გადაწყვეტილებით შესაძლოა კანდიდატს ეთხოვოს საცდელი ლექციის ჩატარება.

ე) კონკურს გავლილ მონაწილეთა სია გამოქვეყნდება **2024 წლის 11 მარტს**

ვ) სააპელაციო განაცხადები მიიღება **2024 წლის 13 მარტიდან 14 მარტის ჩათვლით**

ზ) კონკურსის საბოლოო შედეგები გამოქვეყნდება **2024 წლის - 20 მარტს.**

დაინტერესებულმა კანდიდატებმა საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტი უნდა გამოაგზავნონ ელექტრონულ ფოსტაზე hr@giu.edu.ge (წერილის სათაურის ველში გთხოვთ მიუთითოთ ვაკანსიის/აკადემიური თანამდებობა და მიმართულება)

საკონტაქტო ელ. ფოსტა **hr@giu.edu.ge**

ტელ.: 266 15 12; 266 02 91; 266 02 92

შპს. საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ
GEORGIAN INTERNATIONAL UNIVERSITY GIU LLC